PDF Eraser Free

დანართი №2

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ კოლეჯი „მოდუსი“

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: ლევან მადათოვი
წევრი: ზაირა ბერიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

(თბილისი, 2020)

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

PDF Eraser Free

დაწესებულების სახელწოდება: სსიპ კოლეჯი „მოდუსი“

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საიდენტიფიკაციო კოდი: [redacted]

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

(თბილისი, 2020)

PDF Eraser Free

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2020 წლის 8 ივლისის MES 4 20 0000580743 ბრძანების საფუძველზე, დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების (Zoom) გამოყენებით, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელდა სსიპ - კოლეჯ „მოდუსში“,,კულინარიის ხელოვნების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის 99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის დადგენა.
კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების (Zoom) გამოყენებით, 13 ივლისს განხორციელდა ინტერვიუირება ექსპერტთა ჯგუფის მიერ წინასწარ შემუშავებული დღის წესრიგის **(დანართი 1)** მიხედვით. ვიზიტის ბოლოს, ექსპერტთა ჯგუფმა შეაჯამა ვიზიტი და ძირითადი მიგნებების შესახებ ინფორმაცია მიაწოდა დაწესებულების ადმინისტრაციას.

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა:

-

V. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

-

VI. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

-

VII. რეკომენდაციების შეჯამება

შესაბამისობის რეკომენდაცია:

2.2.1 (1) სასწავლო პროცესის დაწყებამდე, გაუმჯობესების გეგმის თანახმად შესყიდულ და ადგილზე განთავსებულ იქნას შესაბამისი აღჭურვილობა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

(თბილისი, 2020)

PDF Eraser Free

VII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება	კულინარიის ხელოვნება
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია კულინარიის ხელოვნებაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	1013
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	ბრძანება N67, 11.06.2020
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი (ადგილები)	ქ. რუსთავი, შარტავას გამზირი N4
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური / დუალური)	მოდულური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

(თბილისი, 2020)

PDF Eraser Free

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	30
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	80
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	95

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

(თბილისი, 2020)

PDF Eraser Free

VIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☐	☒	☐	☐
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	სრული 3	სრული 3	მეტწილი 2	
2.2) პროგრამის განხორციელების რესურსი	სრული 3	მეტწილი 2	მეტწილი 2	
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	სრული 3	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	მეტწილი 2	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

(თბილისი, 2020)

PDF Eraser Free

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯის მისიიდან გამომდინარე, ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით კოლეჯი მზადაა მოამზადოს მაღალი კვალიფიკაციის პროფესიონალები და შექმნას პირობები მათი საგანმანათლებლო მიზნების განხორციელებისა და წარმატებული დასაქმებისათვის. კოლეჯის ძირითადი მიზანია, პროფესიული სტუდენტების დასაქმების მაღალი მაჩვენებლით, პროფესიონალი პერსონალით, და მრავალფეროვანი პარტნიორებით, შეინარჩუნოს ქვემო ქართლის რეგიონში ლიდერის პოზიცია და ადგილობრივი სამუშაო ბაზრის მოთხოვნათა საფუძველზე მოამზადოს პროფესიული კადრები. რეგიონალური საჭიროებების გამოვლენის მიზნით, კოლეჯი „მოდუსი“ პერიოდულად ახდენს ადგილობრივი შრომის ბაზრის გამოკვლევას, ევროკავშირში აპრობირებული ე.წ. ვაკანსიების მონიტორინგის (vacancy monitoring) მეთოდით - ადგილობრივ დამსაქმებლებთან მყარდება აქტიური კომუნიკაცია მათგან გასული, მიმდინარე თუ მომავალში დაგეგმილი ვაკანსიების შესახებ მონაცემების შესწავლის მიზნით. სწორედ ამგვარი კვლევის პროცესში გამოვლინდა ორი პარტნიორი ორგანიზაცია „შპს „გასტრონომი“ და შპს „დელფუდი“ რომლებიც მზად არიან აქტიურად ითანამშრომლონ „კულინარიის ხელოვნების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში როგორც პრაქტიკული სწავლების განხორციელებაში, ასევე კურსდამთავრებულების დასაქმების ხელშეწყობაში.

დაწესებულების ადმინისტრაციასთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ ზოგადად რეგიონი განიცდიდა პროფესიული კადრების დეფიციტს, რადგან ქვემო ქართლში, კერძოდ, ქ. რუსთავში, ამჟამად არც ერთი საგანმანათლებლო პროფესიული დაწესებულება არ ახორციელებს აღნიშნულ პროგრამაზე სწავლებას, მით უფრო სახელმწიფო დაფინანსებით. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში შეძენილი უნარები ასევე იძლევა თვითდასაქმების საშუალებას და ხელს უწყობს პიროვნების პიროვნული ინტერესების რეალიზაციას, შესაბამისად, პროგრამის მიმართ, როგორც სწავლის მსურველთა მხრიდან, ისე დამსაქმებლებიდან მაღალი დაინტერესების გათვალისწინებით დაწესებულება მიზანშეწონილად მიიჩნევს პროფესიული **პროგრამის დამატებას. გადაწყვეტილება, ასევე შეესაბამება კოლეჯის მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.** სსიპ კოლეჯი „მოდუსი“-ს მისიაა დაძლიოს გამოწვევები, გახდეს ქვემო ქართლის რეგიონის ეკონომიკური განვითარების აქტიური მონაწილე და ლიდერი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც დაიმკვიდრებს რეგიონში წამყვან პოზიციას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობით და ხარისხიანი განათლების მიწოდებით. კოლეჯი წარმოადგენს მრავალპროფილურ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომლისთვისაც პრიორიტეტულია ინოვაციური მეთოდების დანერგვა სწავლებაში, გამოყენებადი ცოდნა-უნარების მიწოდება პროფესიული განათლების მსურველთათვის და შრომის ბაზარზე მოთხოვნადი, კვალიფიციური კადრების მომზადება, როგორც გრძელვადიანი ისე მოკლევადიანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით. კოლეჯში პროფესიულ სტუდენტთა, მასწავლებელთა და პერსონალის თანამშრომლობით შექმნილია პროფესიული სწავლებისათვის ერთიანი სივრცე, რომელიც ხელს უწყობს პროფესიული განათლების თანაბარ ხელმისაწვდომობას. პროგრამის დამატების გადაწყვეტილება შესაბამისობაშია სტრატეგიული განვითარების გეგმის მიზნებთან.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კულინარიის ხელოვნება" განხორციელება ეფუძნება სტრატეგიული განვითარების გეგმას და დაწესებულების მისიას.

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია საბაზო განათლება. შემუშავებულია პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურები რომელიც ითვალისწინებს ჩარიცხვის პროცესთან დაკავშირებულ პროცედურებს, პროცედურები შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის №152/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულებას". **საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;**

3. **პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა (30 პროფესიული სტუდენტი) შესაბამისობაშია სსიპ კოლეჯი „მოდუსის" პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მისაღები კონტიგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგიასთან.** კოლეჯმა რეაბილიტირებულ სასწავლო ფართში ცალკე გამოყო კულინარიის ხელოვნების პროფესიული პროგრამის ფარგლებში პროფესიული მოდულების სწავლებისთვის საჭირო C გარემო - სამზარეულო - 81.93 -კვ.მ. ოთახი, თეორიული სწავლებისთვის 66.41 კვ.მ. ოთახი და გასახდელი 16.95- -კვ.მ ოთახი, 15 პროფესიულ სტუდენტზე (შენობა-ნაგებობა N1)

4.დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა დისტანციური ფორმატით, შესაბამისად ექსპერტთა ჯგუფის შედეგად შემოწმებულია ძირითადად მათ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და ჩატარებულია ინტერვიუირება დაწესებულების წარმომადგენელებთან და განმახორციელებელ პერსონალთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

(თბილისი, 2020)

PDF Eraser Free

გასაუბრებით დასტურდება რომ: პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილია C გარემო - სასწავლო სამზარეულო, დამხმარე ფართით გასახდელისთვის და შეყვანილია სველი წერტილები. საერთო ჯამში სრულად მოწყობილია ინფრასტრუქტურა სასწავლო სამზარეულოსთვის აუცილებელი სტანდარტების შესაბამისად. პროგრამით განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსი - სახელმძღვანელოები - კი განთავსებულია კოლეჯის ბიბლიოთეკაში, დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის.

ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემოწმდა **საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსები და დასტურდება** რომ პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილი იქნება.

5. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას „კულინარიის ხელოვნება“ **არჩევითი მოდული არ აქვს.**

6. კოლეჯი „მოდუსის“ წესდებით და „სასწავლო პროცესის რეგულირების წესით“ პროგრამების დამტკიცებაზე უფლებამოსილ პირად განსაზღვრულია კოლეჯის დირექტორი. შესაბამისად საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია სსიპ კოლეჯი „მოდუსის“ დირექტორის 11 ივნისის N 67 ბრძანებით.

7. საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდებაა „კულინარიის ხელოვნება“, რომელიც ოპტიმიზირებული ჩარჩო დოკუმენტის „სასტუმრო,რესტორანი, კვება“ ერთ-ერთი კონცენტრაციის სახელია და **სრულად შეესაბამება პროგრამის შინაარსს და პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.**

8. **საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მიერ დამტკიცებული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის - „სასტუმრო, რესტორანი, კვება“, საფუძველზე.** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული მისანიჭებელი კვლიფიკაცია, პროგრამის მიზნები, მოცულობა, მისაღწევი სწავლის შედეგები პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლის მეთოდები და შეფასების მიმართულებები და შესაბამისად საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებული, კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების მიხედვით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დაწესებულების მისია(http://www.modusi.ge/)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

(თბილისი, 2020)

PDF Eraser Free

- კოლეჯის შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა და სამოქმედო გეგმა, დამტკიცებული-ბრძ.N62, 09.06.2020 (http://www.modusi.ge/)
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „კულინარიის ხელოვნება“, პროგრამის დამტკიცების ბრძანება N-67-
- სასწავლო პროცესის რეგულირების წესი. ბრძ.N82, 05.04.2019, ცვლილება ბრძ.N 271, 09.10.2019, ცვლილება ბრძ.N 64, 10.06.2020
- პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობა
- ,,პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“
- პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მისაღები კონტიგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგია. ბრძ. N44, 23.03.2018
- ბიბლიოთეკის სარგებლობის წესი;
- გასაუბრება დაწესებულების წარმომადგენლებთან.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

(თბილისი, 2020)

PDF Eraser Free

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილი იქნება დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით (ჯგუფში 15 პროფ სტუდენტი. სულ 30 სტუდენტი - ორ ცვლაში)

პროგრამაში დანართის სახით დამტკიცებულია საჭირო მატერიალური რესურსი. კოლეჯის მიერ წარმოდგენილ იქნა შესყიდვებთან დაკავშირებული შესაბამისი ინვოისები და გაუმჯობესების გეგმა. **აღნიშნული საკითხი შეფასებულია როგორც მეტწილი შესაბამისობა,**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

<u>გაუმჯობესების გეგმის მიხედვით დაწესებულება გეგმავს მატერიალური რესურსების შესყიდვის დასრულებას ა.წ. სექტემბერში, ხოლო სასწავლო პროცესის დაწყების სავარაუდო დრო არის ოქტომბერი, შესაბამისად, დაწესებულება შესყიდვის შემთხვევაში უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისთვის პრაქტიკული კომპონენტის შეუფერხებელ სწავლებას.</u> დაწესებულებას პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი აქვს საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკით გათვალისწინებული გარემო, რომლის აღჭურვასაც გეგმავს სათანადო ინვენტარით და მატერიალურ-ტექნიკური ბაზით.

დაწესებულება გეგმავს პროგრამის განხორციელებას მოდულური მიდგომით. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე განსაზღვრული ზღვრული რაოდენობა შეადგენს 30 პროფესიულ სტუდენტს, სწავლა განხორციელდება ორ ცვლაში და თითოეული ჯგუფი დაკომპლექტდება 15 პროფესიული სტუდენტით.

პროგრამის „კულინარიის ხელოვნება“ სწავლების ხანგრძლივობა მოდულური სწავლების შემთხვევაში არის 62 კვირა. ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილი იქნა სასწავლო გეგმა და დასტურდება რომ გამტარიანობა ერთი C გარემოსათვის შესაძლებელი იქნება.

მოდულური მიდგომით განხორციელების შემთხვევაში პროგრამა მხოლოდ ერთი მოდულის ფარგლებში *<u>(„სასტუმრო, რესტორანი, კვება“ - ჩარჩო დოკუმენტი ითვალისწინებს ჩარჩოს ქვეშ გაერთიანებული პროგრამებისათვის (სასტუმრო მომსახურება, სარესტორნო მომსახურება, კულინარიის ხელოვნება, კონდიტერია), საერთო დარგობრივ მოდულებს, მათ შორის არის საერთო დარგობრივი მოდული - „სასტუმროსა და რესტორნის-სამზარეულოს დასუფთავების მომსახურების უზრუნველყოფა“. წარმოდგენილი მოდულის შედეგების მიღწევა ხდება პარტნიორ ორგანიზაციასთან - სასტუმრო „“ფოსტა“-თან ერთად, სადაც მოდულის სამი შედეგი მიიღწევა პრაქტიკის ობიექტზე მოდულის განმახორციელებელ პედაგოგთან ერთად</u>*) ითვალისწინებს პრაქტიკული ობიექტების არსებობას, რაც შესაძლებელია იყოს როგორც ადგილზე (დაწესებულებაში) მისაღწევი, ასევე ურთიერთანამშრომლობის ხელშეკრულებით, მოცემული სწავლის შედეგი მიიღწეოდეს რეალურ სამუშაო გარემოში.

დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით აღმოჩნდა, რომ არ ჰქონდათ მოცემული მოდული საფუძვლიანად შესწავლილი და ისინი ფიქრობდნენ, რომ შედეგების მიღწევა შესაძლებელი იყო მოწვეული სპეციალისტების, ტრენინგების და /ან ე.წ. ვორქშოპების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

საშუალებით, თუმცა გასაუბრებიდან ასევე დადასტურდა, რომ დაწესებულებაში ვერ გაიმართებოდა ეს შედეგები, რადგან სიმულაციური გარემო სრულად ვერ დაფარავდა. ექსპერტებისგან გაიცა რეკომენდაცია აღნიშნულთან დაკავშირებით, რაც იქნა გათვალისწინებული დაწესებულების- მიერ და დამატებით გამოიგზავნა გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რომელიც თარიღდება 11/07/2020. მემორანდუმის თანახმად, პროფესიულ სტუდენტებს ექნებათ საშუალება პრაქტიკული უნარების განვითარებისა რეალურ სამუშაო გარემოში, მემორანდუმის თანახმად იგეგმება განსაზღვრული ღონისძიებების განხორციელებისათვის მხარეების მიერ დამატებითი ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულების გაფორმება, რომლითაც განისაზღვრება კონკრეტული ღონისძიებების განხორცილების მექანიზმები, მხარეთა ფუნქციები და უფლება-მოვალეობები.

2. პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 8 პროფესიული განათლების მასწავლებელი. სპეციალიზაციის მოდულების განსახორციელებლად, დარგის მასწავლებლად განსაზღვრულია 4 (ოთხი) პროფესიული განათლების მასწავლებელი. პროგრამის განმახორციელებელ პირთა რაოდენობა, მათი შესაბამისობა პროფესიული სტუდენტების რაოდენობასთან და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების და მათზე დაკისრებული ფუნქცია - მოვალეობების ჯეროვნად შესრულებას, რითაც **დასტურდება საგანმანათლებლო პროგრამის მდგრადობა.** მათი საკონტაქტო საათების დატვირთვა ერთი პროგრამის მიზნებისათვის სასწავლო გეგმის მიხედვით ორი ჯგუფის მიღების შემთხვევაში კვირაში არ აღემატება 40 საათს.

3. ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა პროგრამის განმახორციელებლების პირადი საქმეები და პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებები. **პროგრამის განმახორციელებლი პერსონალის კვალიფიკაცია და მათი სამუშაო გამოცდილება სრულად შეესაბამება პროგრამის განხორციელების სპეციფიკას.** აღნიშნულ პროგრამაში ჩართულია კოლეჯი მოდუსის 13 პროფესიული განათლების მასწავლებელი, აქედან 4 ზოგადი მოდულების, ხოლო 9 საერთო პროფესიული და პროფესიული მოდულების სწავლებისთვის.

ექსპერტები გაესაუბრნენ პედაგოგებს და დასტურდება რომ პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლები აღჭურვილი არიან სწავლებისა და შეფასების სათანადო კომპეტენციით, აღნიშნული კომპეტენციები მათ უდასტურდება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

(თბილისი, 2020)

PDF Eraser Free

შესაბამისი კვალიფიკაციით, მრავალწლიანი პროფესიული გამოცდილებით (მათ შორის პედაგოგიური გამოცდილებითაც) და გავლილი ტრენინგებით, თუმცა აღსანიშნავია ის ფაქტიც რომ დაწესებულებაში ხარისხზე პასუხისმგებელ პირთან გასაუბრებით დასტურდება, რომ პროგრამაში ახალშემოსულ პედაგოგებს ჩაუტარდებათ შესაბამისი საჭიროების ტრენინგები და ისინი გაეცნობიან სიღრმისეულად, მოდულების სპეციფიკას და შეფასების სისტემას, კოლეჯში არსებული პროცესების შესაბამისად.

4. **საგანმანათლებლო პროგრამას „კულინარიის ხელოვნება“ ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.** პროგრამის ხელმძღვანელია [redacted] რომელსაც აქვს სასტუმროსა და რესტორანში პრაქტიკული მუშაობის 7 წლიანი გამოცდილება, რაც დასტურდება მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით, პროგრამის ხელმძღვანელი მტკიცდება პროგრამის დამტკიცებასთან ერთად

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია კოლეჯის ბიბლიოთეკაში ძირითადად ელექტონული სახით ელ. დისკებზე, რომლებიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით და მატერიალური სახით ამონაბეჭდი გამოიყენება სასწავლო პროცესში, ბიბლიოთეკაში არის ასევე სამუშაო სივრცე აღჭურვილი კომპიუტერებით, რომელშიც ჩატვირთულია კოლეჯის საკუთრებაში არსებული საგანმანათლებლო რესურსის კატალოგი.

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად; კოლეჯს ჰყავს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი და სსსმ პირთა ასისტენტი. ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის ერთ - ერთი ფუნქციაა უზრუნველყოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტთათვის სასწავლო პროცესის და სასწავლო გარემოს მათი ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით განსაზღვრა, ხოლო სსსმ პირთა ასისტენტის ფუნქცია უზრუნველყოს სტუდენტის სამუშაო და სასწავლო მასალის ადაპტირება, რაც რეალურად დანერგილი პრაქტიკაა კოლეჯში.

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით **უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.** სწავლება დაფინანსდება განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ. პროგრამა ფინანსდება ვაუჩერულად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

(თბილისი, 2020)

PDF Eraser Free

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროგრამის განხორციელების ადგილზე ინვენტარის და აღჭურვილობის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტები;
- განმახორციელბლების და პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმეები/სერთიფიკატები;
- გამჯობესების გეგმა-დამტკიცებული ბრძ. N 70, 11.06.2020
- ბიბლიოთეკაში არსებული სასწავლო რესურსი ელექტრონული სახით, დამუშავებული საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად;
- ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის და სსსმ პირთა ასისტენტის სამუშაო აღწერილობები.
- გასაუბრება;

შეფასება:

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

(თბილისი, 2020)

PDF Eraser Free

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯში მოქმედებს დირექტორის 2019 წლის 24 მაისს N0125 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები“ და „სწავლების ხარისხის შეფასების წესი და პროცედურები“, რომელიც ექვემდებარება სისტემურობას და ხარისხის კონტროლის ციკლურ სისტემას - „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე და განავითარე.

კოლეჯის სასწავლო პროცესის რეგულირების წესში მეორე მუხლში გაწერილია ყველა ტიპის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, ცვლილების შეტანისა და გაუქმების პროცედურები. რომელიც ითვალისწინებს პროგრამის შერჩევისა და განხორციელების პროცედურებს.

პროგრამის შეფასების მექანიზმი ასევე ითვალისწინებს დაინტერესებული მხარეების უკუკავშირს. ამ მიზნით შემუშავებული კითხვარების საშუალებით ხორციელდება პროფესიული სტუდენტების, პროფესიული განათლების მასწავლებლების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების გამოკითხვა. შედეგების ანალიზი იძლევა საშუალებას გავაუმჯობესოთ საგანმანათლებლო პროგრამა.

2. დაწესებულებაში ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დანერგვის მიზნით არსებობს ხარისხის მართვის მენეჯერის, სასწავლო პროცესის ხარისხის მონიტორინგის სპეციალისტის საშტატო ერთეულები,

კოლეჯში ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა დაფუძნებულია დემინგის ციკლზე „დაგეგმე-განახორციელე-შეაფასე-გადახედე/გაუმჯობესე“ მოდელზე.

პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების მიზნით, შექმნილია „მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვის შიდა მხარდაჭერისა და სასწავლო პროცესის მონიტორინგის ჯგუფი,“ რომელიც შედგება მუდმივი და ცვალებადი (პ/გ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

მასწავლებელი და/ან დარგის სპეციალისტი) წევრებისაგან და მტკიცდება დირექტორის ბრძანებით. სასწავლო პროცესზე დაკვირვების და მონიტორინგის მიზნით, კოლეჯს ასევე ჰყავს „სასწავლო პროცესის ხარისხის მონიტორინგის სპეციალისტი“,

აღნიშნული საკითხის მარეგულირებელი დოკუმენტებია „ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები“ და „ხარისხის მენეჯმენტი - სსიპ კოლეჯ მოდუსში -სწავლების ხარისხის შეფასების წესი და პროცედურები“, რომელშიც გაწერილია შეფასების წესი, მონიტორინგის პროცედურები და დამტკიცებულია შეფასების კითხვარების ფორმები.

პროგრამის შეფასება ხორციელდება მეცადინეობების და შეფასების პროცესის ანალიზით, პროფესიულ სტუდენტთა, პროფესიულ მასწავლებელთა, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა გამოკითხვების საფუძველზე. პროფესიულ სტუდენტთა, მასწავლებელთა გამოკითხვას უზრუნველყოფს ხარისხის მართვის მენეჯერი, ხოლო კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვა ხორციელდება პროფორიენტაციის და კარიერის დაგეგმვის მენეჯერის მიერ, ასევე კურსდამთავრებულთა დასაქმების სტატისტიკას აწარმოებს პროფორიენტაციის და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი. ზემოთ მოყვანილი სამუშაო ჯგუფების მიერ შესრულებული სამუშაოების შედეგები გამოიყენება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების გასაუმჯობესებლად, სასწავლო პროცესის ხარისხის ასამაღლებლად.

დაწესებულებას ჩართულია EMIS - ის ბაზაში და რეესტრი ხორციელდება აღნიშნული ბაზის მეშვეობით. გამომდინარე იქიდან, რომ პროგრამაზე სწავლება ჯერ არ განხორციელებულა, ცვლილებების საჭიროება არ დამდგარა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სსიპ კოლეჯი „მოდუსის“ სასწავლო პროცესის რეგულირების წესი. „ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები“ - ბრძ. N125, 24.05.2019 (ცვლილება)
- „ხარისხის მენეჯმენტი - სსიპ კოლეჯ მოდუსში -სწავლების ხარისხის შეფასების წესი და პროცედურები“, ბრძ. N125, 24.05.2019
- „სასწავლო პროცესის მონიტორინგის სპეციალისტის ანგარიშები“
- გასაუბრება

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან / სასწავლო საწარმოსთან / თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო / სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯის მიერ წარმოდგენილია სასწავლო გეგმა. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „კულინარიის ხელოვნება“, სადაც მოდულების სწავლების თანმიმდევრობა ლოგიკურადაა განსაზღვრული. კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენელმა ინტერვიუირებისას აღნიშნა, რომ „კულინარიის ხელოვნების“ საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმის და საათების განაწილების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

შესაბამისად შემუშავდება გაკვეთილების განრიგი - ცხრილი. მოდულების განხორციელების დაგეგმვისას დაცულია მოდულით განსაზღვრული წინაპირობები და პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვა.

2. კოლეჯში სწავლა პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით მიმდინარეობს ორ ცვლაში. სასწავლო გეგმით განისაზღვრება თითოეული პროგრამის ხანგრძლივობა და დასრულებისათვის მისაღწევი შედეგები, ანუ იმ მიღწევების (უნარ-ჩვევებისა და ცოდნის) ჩამონათვალი, რომელთაც პროფესიული სტუდენტი უნდა ფლობდეს პროგრამის დამთავრებისას. საჭიროების შემთხვევაში შშმ პირებისათვის უზრუნველყოფილია სასაწავლო გარემო, ასევე სასწავლო პროცესის რეგულირების წესში გაწერილია პროფესიულ სტუდენტთა მობლობის წესი, შესაბამისად, კოლეჯს აქვს პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან გაფორმებული ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმები. 2019 წლიდან კოლეჯში შექმნილია და მოქმედებს პროფესიულ სტუდენტთა კავშირი, რომელიც ასევე აქტიურად არის ჩართული პროფესიული სტუდენტების საჭიროებების გამოვლენაში.

3. „კულინარიის ხელოვნება“ საგანმანთლებლო პროგრამა ითვალისწინებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრულ სწავლების მეთოდებს და დარგის ტექნოლოგიებს. დაწესებულებას მოდულური მიდგომით პროგრამის განხორციელებისათვის აქვს ადაპტირებული მოდულები, მათ შორის, სწავლებისა და შეფასების ნაწილში.

დაწესებულების მიერ დანართის სახით წარმოდგენილია მატერიალური რესურსის ჩამონათვალი, რომლის შეძენაც გაუმჯობესების გეგმის თანახმად დასრულებული იქნება მიმდინარე წლის სექტემბრისათვის და სასწავლო პროცესის დაწყებამდე დაწესებულება უზრუნველყოფილი იქნება C სასწავლო გარემოს სრული აღჭურვილობით (პროგრამის „კულინარიის ხელოვნება“ შედეგების მიღწევადობის ფარგლებში).

თავის მხრივ პროფესიული განათლების მასწავლებლებმა ინტერვიუირებისას აღნიშნეს, რომ დაწესებულება გეგმავს მათ გადამზადებას სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდებზე. აღნიშნული ტრენინგები ჩატარდება, როგორც მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ, ასევე კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფის მიერ.

4. პროფესიული განათლების მასწავლებლები სწავლებისას ითვალისწინებენ პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებს. რაშიც ეხმარებათ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ჩატარებული ტრენინგი ,,სტუდენტთა ინდივიდუალური თავისებურებანი პროფესიულ განათლებაში“.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

(თბილისი, 2020)

PDF Eraser Free

საჭიროების შემთხვევაში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის ხდება სასწავლო მოდულებისა და შედეგების ადაპტირება - იქმნება ინდივიდუალური სასწავლო გეგმები. ხარისხზე პასუხისმგებელ პირთან გასაუბრებით დასტურდება, რომ „კულინარიის ხელოვნების“ პროფესიული საგანამანთლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას ***<u>იქნება გათვალისწინებული პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;</u>***

5. პრაქტიკული კომპონენტი ძირითადად ხორციელდება კოლეჯის შესაბამის ლაბორატორიაში და პარტნიორ კომპანიაში, სადაც გაფორმებულია ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, კერძოდ, შპს „გასტრონომ“-ში და შპს „დელფუდ-ში, რაც დასტურდება აღნიშნულ კომპანიებთან დადებული ურთიერთთანამშრმლობის მემორანდუმით. თუმცა პრაქტიკის ობიექტები ამ შემთხვევაში გამოიყენება მხოლოდ ინფო ტურების წარმართვისათვის, სადაც პროფესიულ სტუდენტს ექნება საშუალება თანამედროვე ტექნოლოგიების გაცნობის. კომპანიის შეფმზარეულთან მოხდა გასაუბრება დისტანციური რეჟიმით, რითაც დასტურდება მზაობა პროგრამაში ჩართულობის.

6.სასწავლო/სამუშაო გარემო აღჭურვილია ავტორიზაციის მოთხოვნების შესაბამისად. მეცადინეობები მიმდინარეობს უსაფრთხო გარემოში პროფესიის სპეციფიკის გათვალისწინებით. **უსაფრთხო სწავლება უზრუნველყოფილი იქნება, სასწავლო პროცესში საგანამანათლებლო დაწესებულებაში და ასევე პრაქტიკის ობიექტებზე**, სადაც იგეგმება მოდულის „სასტუმროსა და რესტორნის-სამზარეულოს დასუფთავების მომსახურების უზრუნველყოფა“ პრაქტიკული შედეგის. უსაფრთხო გარემოს უზრუნველსაყოფად პრაქტიკული მეცადინეობის დაწყების წინ პროფესიულ სტუდენტებს ჩაუტარდებათ ინსტრუქტაჟი. სწავლების პროცესში შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვაზე პასუხისმგებლობა ეკისრებაგანმახორციელებელს. პროფესიული მოდულების განმახორციელებლები პრაქტიკული კომპონენტის ნაწილში, საჭიროებიდან გამომდინარე, ჩაატარებენ ინსტრუქტაჟს. ვიზიტის დროს ექსპერტებმა დაათვალიერეს გარემო (როგორც კოლეჯში, ასევე პრაქტიკის ობიექტზე) და გაესაუბრნენ პასუხისმგებელ პირებს.

<u>სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში.</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

(თბილისი, 2020)

PDF Eraser Free

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სასწავლო გეგმა; სასწავლო პროცესის რეგულირების წესი; აღჭურვილობის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია
- ადაპტირებული მოდულები;
- „სსიპ კოლეჯი „მოდუსის“ ტექნიკური უსაფრთხოების წესები“, ბრძ.N89, 05.04.2019.
- ურთირთთანამშრომლობის მემორანდუმები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

(თბილისი, 2020)

PDF Eraser Free

1. პროფესიული სტუდენტის შეფასების წესი და მტკიცებულებების შენახვის პროცედურები გაწერილია სსიპ კოლეჯი „მოდუსის“ სასწავლო პროცესის რეგულირების წესში, თავი VIII - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა შეფასება

შეფასების სისტემის ვალიდურობის, სანდოობის, გამჭვირვალეობის, სამართლიანობის და ობიექტურობის ხარისხის ამაღლების მიზნით, კოლეჯში განახლდა შეფასების ინსტრუმენტისა და შეფასების უწყისების ფორმები, დაემატა შ/ი „შიდა ვერიფიკაციის“ ფორმა, რომლის მიხედვითაც ხდება ინსტრუმენტის მომზადება პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ, და შეფასება შიდა ვერიფიკატორის მიერ, აღნიშნული ფორმების გამოყენება იგეგმება ახალი სასწავლო წლიდან.

არსებული მდგომარეობით, სასწავლო პროცესის ხარისხის მონიტორინგის სპეციალისტი ახდენს ინსტრუმენტის შედარებას სასწავლო მოდულის ჩანაწერებთან და, შესაბამისად, ადგენს ინსტრუმენტის ვალიდურობას, ინსტრუმენტის ტექნიკური ჩანაწერებიდან ჩანს, რომ ინსტრუმენტი არის გამჭირვალე, სამართლიანი და ობიექტური (ინსტრმენტში მოცემულია შესრულების დრო, შეფასების პირობები)

2. შიდა ვერიფიკაციას განახორციელებს შიდა ვერიფიკატორი, რომელიც შესაძლოა იყოს კოლეჯის იმავე მოდულის სხვა მასწავლებელი, ან იმავე პროგრამის სხვა მოდულის მასწავლებელი და ადმინისტრაციის წარმომადგენელი, რომელთაც გააჩნიათ შესაბამისი ცოდნა. შიდა ვერიფიკატორი პირველ ეტაპზე ადასტურებს „მოდულის შეფასების ინსტრუმენტში“ ასახული სწავლის შედეგების, მოცემული დავალების შესრულების კრიტერიუმებისა და დავალების შეფასების კრიტერიუმების, როგორც ერთმანეთთან თავსებადობა-შესაბამისობას, ასევე სწავლის შედეგების შესრულების მტკიცებულებების შესაბამისობას შერჩეულ შეფასების ინსტრუმენტთან. შიდა ვერიფიკაციის პირველ ეტაპზე ვერიფიკატორს პროფესიულ მასწავლებელთან უკუკავშირის საშუალებით საჭიროების შემთხვევაში შეაქვს შესაბამისი ცვლილება „მოდულის შეფასების ინსტრუმენტში“.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

(თბილისი, 2020)

PDF Eraser Free

მოდულის დასრულების შემდეგ არაუმეტეს ორ კვირაში სასწავლო პროცესის ხარისხის მონიტორინგის სპეციალისტი ამოწმებს შეგროვებული მტკიცებულებების ავთენტიკურობასა და კომპეტენციების დადასტურებისათვის საკმარისობას და აარქივებს მტკიცებულებებს შენახვის ვადით.

3. კოლეჯში შემუშავებულია/დამტკიცებულია შეფასებისას გამოყენებული დოკუმენტაციის შენახვის წესი (სასწავლო პროცესის რეგულირების წესი, მუხლი 24.) შეფასების მტკიცებულებების შენახვის ვადად განსაზღვრულია 3 წელი შეფასების განხორციელებიდან, ხოლო შეფასების უწყისები იტვირთება e-flow-ს ელექტრონულ სისტემაში და ინახება უვადოდ.

4. სასწავლო პროცესში გამოიყენება განმავითარებელი შეფასება, რომელიც განმახორციელებელს აძლევს საშუალებას, შეამოწმოს პროფესიული სტუდენტების გაგების/გააზრების დონე და შესაბამისად დაგეგმოს სწავლების პროცესი, ასევე მისცეს რეკომენდაცია პროფესიულ სტუდენტს, თუ რა კუთხით გააქტიუროს მუშაობა განმსაზღვრელი შეფასებისთვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

(თბილისი, 2020)

PDF Eraser Free

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სასწავლო პროცესის რეგულირების წესი.
- შეფასების ინსტრუმენტის და ვერიფიკაციის დამტკიცებული ფორმები. ბრძ.N69, 11.06.2020.
- ხარისხის მართვის მენეჯერის და ხარისხის მონიტორინგის სპეციალისტის სამუშაო აღწერილობები
- გამჯობესების გეგმა-დამტკიცებული ბრძ. N 70, 11.06.2020

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒

ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

X. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1 - ვიზიტის დღის წესრიგი;

24.07.2020

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------